

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის,

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „არგოს“ მფლობელებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „არგოს“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კლიენტმა 2024 წლის ბოლოსთვის არ ჩაატარა აქტივების გაუფასურების ტესტი, რაც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან გადახვევას. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა გუდვილისა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან მიმართებით. შედეგად, ვერ დადგინდა, საჭირო იყო თუ არა გუდვილისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების კორექტირება.

აუდიტის პროცესში, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2024 წლის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნების საბოლოო ნაშთების სისწორეში, რომელიც შეადგენს 4,039,532 ლარს. ჩვენ ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“-ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ სს „არგოსგან“ იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხებისა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს ფი-ქეი-ეფ ჯორჯია-ს სახელით ფირმის რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-798362)

8 ოქტომბერი, 2025

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა



რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს ფი-ქეი-ეფ ჯორჯია-ს სახელით ფირმის რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-798362)

8 ოქტომბერი, 2025

სს"არგო"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	81,047	84,408
აქტივი გამოყენების უფლებით	7	1,077	-
არამატერიალური აქტივები	6	5,556	7,147
		87,680	91,555
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	7,951	7,212
გადახდილი ავანსები	10	2,069	2,061
მარაგები	11	10,864	10,565
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	676	375
		21,560	20,213
სულ აქტივები		109,240	111,768
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი	13	39,125	39,125
გადაფასების რეზერვი		21,149	19,443
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(17,119)	(4,800)
		43,155	53,768
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	887	192
მიღებული სესხები	14	24,195	30,369
		25,082	30,561
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	13,852	13,020
საგადასახადო ვალდებულებები	16	4,139	2,786
მიღებული სესხები	14	22,457	11,561
საიჯარო ვალდებულება		555	72
სულ მიმდინარე ვალდებულებები		41,003	27,439
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		109,240	111,768

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 8 ოქტომბერს:

ვასილ სულხანიშვილი

მმართველი დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

სს"არგო"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	81,047	84,408
აქტივი გამოყენების უფლებით	7	1,077	-
არამატერიალური აქტივები	6	5,556	7,147
		87,680	91,555
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	7,951	7,212
გადახდილი ავანსები	10	2,069	2,061
მარაგები	11	10,864	10,565
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	676	375
		21,560	20,213
სულ აქტივები		109,240	111,768
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი	13	39,125	39,125
გადაფასების რეზერვი		21,149	19,443
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(17,119)	(4,800)
		43,155	53,768
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	12	887	192
მიღებული სესხები	14	24,195	30,369
		25,082	30,561
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	13,852	13,020
საგადასახადო ვალდებულებები	16	4,139	2,786
მიღებული სესხები	14	22,457	11,561
საიჯარო ვალდებულება		555	72
სულ მიმდინარე ვალდებულებები		41,003	27,439
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		109,240	111,768

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 8 დეკემბერს.

ვასილ სულხანიშვილი

მმართველი დირექტორი

ვ. სულხანიშვილი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

სს"არგო"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები	17	43,334	42,086
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(27,358)	(24,416)
საერთო მოგება		15,976	17,670
გაყიდვის ხარჯები	19	(12,281)	(9,972)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(6,404)	(5,167)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(18,685)	(15,139)
ფინანსური ხარჯი	22	(5,523)	(4,801)
(ზარალი) საკუროს სხვაობიდან	23	(1,092)	(433)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯი, წმინდა	22	(2,994)	(2,592)
ზარალი მოგება დაბეგვრამდე		(12,318)	(5,295)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(12,318)	(5,295)
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი		1,707	11,762
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		(10,611)	6,467
EBITDA		5,795	10,017

კომპანიის მენეჯმენტმა საჭიროდ მიიჩნია წარდგენილი ყოფილიყო EBITDA 2024 და 2023 წლის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 8 ოქტომბერს:

ვასილ სულხანიშვილი

მმართველი დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

სს"არგო"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები	17	43,334	42,086
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(27,358)	(24,416)
საერთო მოგება		15,976	17,670
გაყიდვის ხარჯები	19	(12,281)	(9,972)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(6,404)	(5,167)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(18,685)	(15,139)
ფინანსური ხარჯი	22	(5,523)	(4,801)
(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	23	(1,092)	(433)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯი, წმინდა	22	(2,994)	(2,592)
ზარალი მოგება დაბეგრამდე		(12,318)	(5,295)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(12,318)	(5,295)
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი		1,707	11,762
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		(10,611)	6,467
EBITDA		5,795	10,017

კომპანიის მენეჯმენტმა საჭიროდ მიიჩნია წარდგენილი ყოფილიყო EBITDA 2024 და 2023 წლის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 8 ოქტომბერს:

ვასილ სულხანიშვილი

მმართველი დირექტორი

ვ. სულხანიშვილი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

სს „არგო“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ (ათას) ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	სხვა რეზერვი და დაფინანსება	სულ
1 იანვარი 2023	39,125	5,115	7,681	51,921
წლის ზარალი	-	(5,295)	-	(5,295)
გადაფასების რეზერვი	-	-	11,762	11,762
სულ მთლიანი სრული შემოსავალი	39,125	(180)	19,443	58,388
კაპიტალის შემცირება	-	(4,620)	-	(4,620)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(4,620)	-	(4,620)
31 დეკემბერი 2023	39,125	(4,800)	19,443	53,768
წლის ზარალი	-	(12,318)	-	(12,318)
გადაფასების რეზერვი	-	-	1,707	1707
სულ სრული შემოსავლები	39,125	(17,118)	21,150	43,157
სხვა ცვლილებები		(1)	(1)	(2)
31 დეკემბერი 2024	39,125	(17,119)	21,149	43,155

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით
 შენიშვნებთან ერთად.

სს „არგო“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ (ათას) ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება/(ზარალი)		(10,611)	6,467
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	18,19,20	8,504	7,486
ფინანსური ხარჯები	21	5,523	4,801
(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(2,042)	-
მოგება ბიზნესის შესყიდვიდან		-	(4,621)
რეზერვის ხარჯი	9	179	-
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	23	1,092	433
ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		2,645	14,566
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,007)	1,984
ცვლილება მარაგებში		(299)	(362)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		936	2,442
ცვლილება წინასწარ გაწეულ ხარჯებში		(9)	(13)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		1,353	(2,182)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		974	1,868
გადახდილი მოგების გადასახადი		(5,465)	(4,374)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(1,846)	12,061
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		1,440	(15,907)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(2,477)	(2,566)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(1,037)	(18,475)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების გადახდა	27	(9,068)	(3,350)
მიღებული ნასესხები სახსრები	27	12,795	10,821
საიჯარო ვალდებულების აღება	12	4,877	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	12	(5,280)	(554)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული		3,324	6,917
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		441	503
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა		(140)	(486)
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წლის დასაწყისში		375	358
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წლის ბოლოს		676	375

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-45 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

1 ზოგადი ინფორმაცია

სს „არგო“ („კომპანია“, ს/ნ 400194222) დაფუძნდა 2017 წლის 21 იანვარს. აღნიშნული თარიღის მდგომარეობით აქციები განაწილებულია ორ აქციონერს შორის;

- ვასილ სულხანიშვილი ფლობს აქციების 85%-ს
- სს „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“ ფლობს 15%

კომპანიის დირექტორია ვასილ სულხანიშვილი. კომპანიის ბიზნეს და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ლილო, ლოჭინის ხევი, (ნაკვ. 05/001) .

2017 წლის 15 მარტს, კომპანია სს „არგომ“ "კასტელ-ჯორჯიასგან " შეიძინა ქარხანა და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობა 10,249 ათასი აშშ დოლარად. ქონება შეფასდა Colliers Georgia– ს მიერ შეძენამდე 15,500 ათასი დოლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე. 2019 წლის ივლისში სს „არგომ“ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები მსხვილ ჰოლანდიურ ინვესტორთან – ბავარია ოვერსიზ ბრიუვერის (Bavaria Overseas Breweries (B.O.B.) III B.V.), რომელმაც გამოთქვა სურვილი საქართველოში და კერძოდ არგოში ინვესტიციის ჩადებაზე. აღნიშნული გარიგების მიზნებისათვის სს „არგომ“ მოახდინა ახალი აქციების ემისია და ემიტირებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა გაიზარდა 100-დან 10,000 ცალ ჩვეულებრივ აქციამდე. აღნიშნულის შემდეგ კომპანიის 40% წილი (4,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია) შეიძინა ინვესტორმა. მცირე ნაწილი უშუალოდ აქციონერისგან, ხოლო დარჩენილი ნაწილი თვითონ კომპანიისგან.

გარიგების ჯამური საფასური შეადგენდა 24 მლნ. ლარს, საიდანაც 14 მლნ. ლარის ჩარიცხვა განხორციელდა 2019 წელს, ხოლო დარჩენილი 10 მლნ. ლარი ჩარიცხა კომპანიის ანგარიშზე 2021 წლის განმავლობაში, ინვესტორთან შეთანხმებული საბოლოო პირობების თანახმად.

აღნიშნული გარიგების შედეგად სს „არგოს“ აქციონერების საბოლოოდ შეთანხმებული სტრუქტურა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- 40.0040% (4000 აქცია) -ბავარია ოვერსიზ ბრიუვერის (Bavaria Overseas Breweries (B.O.B.) III B.V.).
- 50.9951% (5099 აქცია) - ვასილი სულხანიშვილი.
- 9.0009% (900 აქცია) - კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ

ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2 მომზადების საფუძველი

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4.2).

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც აღრიცხულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში.

კომპანია 2024 და 2023 წლის განმავლობაში განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი, კერძოდ 10,803 ლარის და 5,295 ლარის ოდენობით. აღნიშნული ზარალის გამომწვევი მიზეზია მაღალი საპროცენტო ხარჯი და სხვა არასაოპერაციო ხარჯი.

კომპანიის მენეჯმენტმა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის თანხმად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან. აღნიშნული მსჯელობა დაფუძნებულია შემდგომ გარემოებებზე:

- კომპანიის მენეჯმენტს აქვს გეგმა მოახდინოს ხარჯების ოპტიმიზაცია მამ შორის საპროცენტო ხარჯის შემცირებაზე აწარმოებს მოლაპარაკებას ფინანსურ ინსტიტუტებთან.
- მენეჯმენტს აქვს გეგმა გაზარდოს პროდუქციის ექსპორტი.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 4.1-ე შენიშვნაში. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშგო პერიოდისთვის დაწყებული 2024 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ მიუღია სხვა არცერთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომლებიც გამოცემულია მაგრამ არ არის ეფექტური რეპორტირგ პერიოდისთვის.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;

- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9306 (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი, ერთი ევრო 2.9753). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი

მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა.
- გარიგების ფასის განსაზღვრა.
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან.
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

საოპერაციო შემოსავალი:

სს „არგო“-ს ძირითადი საქმიანობაა ლუდის, სელცერისა და უალკოჰოლო სასმელების, კონკრეტულად ლიმონათის და ენერგეტიკული სასმელების წარმოება. კომპანია ფლობს შემდეგ ბრენდებს:

- ლუდი "ჰოლანდია" - წარმოებისა და რეალიზაციის ლიცენზია – "ყოველი დღე აღსანიშნავია ჰოლანდიასთან ერთად"
- ლუდი "კიონიგ პილსნერი" - წარმოებისა და რეალიზაციის ლიცენზია, ამოღებული 2021 წელს – "გერმანული სამეფო ლუდი"
- ლუდი "ჰერცოგი" - ერთპიროვნული ლიდერი ქართულ ბაზარზე, ბაზრის ლიდერი ჩამოსასხმელი ლუდის სეგმენტში - "ნამდვილად ცოცხალი, #1 ჩამოსასხმელი ლუდი საქართველოში"
- ლუდი "არგო ლაგერი" - ყველაზე ცნობადი ბრენდი საქართველოში დიდი ხნის ტრადიციით – „ყოველთვის თანამედროვე, ტრენდული, ქართული ლუდის ბაზრის ფლაგმანი ბრენდი“
- ლუდი "არგო თეთრი" - "ყოველთვის თანამედროვე ლუდი მსუბუქი ტექსტურითა და ნათელი ოქროსფერი შეფერილობით"
- ლუდი "არგო შავი" - "ყოველთვის თანამედროვე, არომატული მუქი ლუდი ნამდვილი გურმანებისთვის"
- ლუდი "გერმანული" – "მაღალი ხარისხის სახალხო ლუდი, ხელმისაწვდომ საფასო კატეგორიაში"
- ლუდი "ალუდა წითელი ეილი" – "ქართული მთის ლუდი, მკვეთარ გამოხატული არომატის, ბრიტანული წითელი ეილის ტიპის ლუდი"
- ლუდი "ალუდა ოქროს ეილი" – "ქართული მთის ლუდი, დაბალანსებული არომატის, ბრიტანული ოქროს ეილის ტიპის ლუდი" ლუდი "ალუდა თეთრი ეილი" – "ქართული მთის ლუდი, მსუბუქი არომატის, ბრიტანული თეთრი ეილის ტიპის ლუდი"
- ლიმონათი "ხანდუკელი" - "ყველა სუფრის მასპინძელი"

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

- ენერგეტიკული სასმელი "ამპერი" – "ენერგეტიკული სასმელის ენერგია და ძალა"
- სელცერი "არგო მაგარი სელცერი" – "სხვაგვარი, ახალი, ჯანსაღი ალკოჰოლური სასმელი"

გარდა ამისა, 2021 წელს კომპანიამ დაიწყო „კერძო ეტიკეტის“ კონტრაქტის საფუძველზე სასმელების წარმოება.

კომპანია ოპერირებს საქართველოში. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომელთაც თან ახლავს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა იხვეწება და ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც სხვა იურიდიულ და ფისკალურ წინააღმდეგობებთან ერთად ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი პირების წინაშე არსებულ გამოწვევებს. ფინანსური ანგარიშგებები ასახავს მენეჯმენტის შეფასებას კომპანიის ბიზნეს გარემოს გავლენის შესახებ კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან.

3.3 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარის ხელშეკრულებებს ძირითადად საწყობების უზრუნველყოფისთვის იყენებს. საწყობების იჯარის ხელშეკრულებები, როგორც წესი, 1-დან 5 წლამდე ვადით იდება და ზოგიერთ მათგანს გაგრძელების პირობები აქვს.

კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული

არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია როგორც მეიჯარე

როგორც მეიჯარე, კომპანია თავის იჯარას კლასიფიცირებს როგორც საოპერაციო, ასევე ფინანსურ იჯარად.

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ ის გადასცემს ძირითადი აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, ხოლო თუ ეს ასე არ ხდება, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

3.4 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით

განაწილებულ მოგებზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

3.5 გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.6 ძირითადი საშუალებები

საქონლის ან მომსახურების წარმოების ან მიწოდების მიზნით გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება მათი გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადაფასების თარიღისთვის სამართლიან ღირებულებას, გამოკლებული ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთა და შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. გადაფასების თარიღის ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა გამოიქვითება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა თანხა ხელახლა აისახება აქტივის გადაფასებულ ღირებულებაზე. გადაფასებები ტარდება საკმარისი რეგულარობით დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ ისე, რომ საბალანსო ღირებულებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებებისგან, რომლებიც განისაზღვრებოდა ანგარიშგების თარიღის სამართლიანი ღირებულებების გამოყენებით.

ასეთი ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი გადაფასების ზრდა აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის აბრუნებს იმავე აქტივის გადაფასების შემცირებას, რომელიც ადრე აღიარებული იყო მოგებაში ან ზარალში, ამ შემთხვევაში ზრდა აისახება მოგებაში ან ზარალში ადრე დარიცხული შემცირების ოდენობით) და აისახება აქციონერთა კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახით. ასეთი ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად წარმოშობილი საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგებაში ან ზარალში იმ

ოდენობით, რამდენადაც ის აღემატება ქონების გადაფასების რეზერვში არსებულ ნაშთს, თუ ის არსებობს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივის წინა გადაფასებასთან.

გადაფასების შედეგად მიღებული ნაშთი გადადის დაგროვილ მოგებაში, რადგან კომპანია იყენებს აქტივს. გადაცემული ნაშთის ოდენობა წარმოადგენს სხვაობას აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილ ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების საფუძველზე გამოთვლილ ცვეთას შორის. გადაფასებული ქონების შემდგომი გაყიდვის ან ექსპლუატაციიდან გატანის შემთხვევაში, ქონების გადაფასების რეზერვში დარჩენილი გადაფასების ნაშთი პირდაპირ გადადის დაგროვილ მოგებაში.

ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახადებს, დაუბრუნებელ შესყიდვის გადასახადებს და სხვა პირდაპირ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეული შედგება ძირითადი კომპონენტებისგან, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად.

ძირითადი საშუალებების გასვლის ან ექსპლუატაციიდან ამოღებისას მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ცალკე აღრიცხვადი კომპონენტის შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება კომპონენტის ჩამოწერით. სხვა შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ ამ ხარჯებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებელი წარმოიშობა. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება მოგებაში ან ზარალში გაწევისთანავე.

ცვეთის ოდენობა აქტივის სასარგებლო ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდით.

შენობები	20-60 წელი
მანქანა-დანადგარები	15-40 წელი
საოფისე ინვენტარი	4-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	15 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	2.5 წელი

3.7 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

პროგრამული უზრუნველყოფა	10-15 წელი
სავაჭრო ნიშნები	10-15 წელი
კონცესიები და პატენტები	3-5 წელი

3.8 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.10 გუდვილი

უდვილი ტარდება ნაკლებად გაუფასურებული აკუმულირებული დანაკარგებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გუდვილი გამოყოფილია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ ისარგებლებენ საქმიანი კომბინაციის სინერგიით. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფი წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, რომლის დროსაც კომპანია აკონტროლებს გუდვილს და არ აღემატება ოპერაციულ სეგმენტს. ნაღდი ფულის გენერირების განმახორციელებელი ოპერაციის განკარგვისას მოგება ან ზარალი, რომლისთვისაც გუდვილი გამოყოფილია გარიგების საექსპლუატაციო ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც ზოგადად განისაზღვრება განზრახ ოპერაციის შედარებით ღირებულებებზე და ნაღდი ფულის - შენახვის ერთეული, რომელიც შეინარჩუნა.

გუდვილის ნარჩენ ღირებულებაზე გავლენას ახდენს შესაძლო გაუფასურება. გუდვილი არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც წარმოიქმნება ბიზნესების კომბინაციების შედეგად შეძენილი აქტივებიდან, რომლებიც არ არიან ცალ-ცალკე იდენტიფიცირებადი და აღიარებადი. ამგვარად, გუდვილის გაუფასურების შეფასება საჭიროებს დაშვებებს და ვარაუდებს, რომლებიც უკავშირდებათ კომპანიის სამომავლო ოპერაციებს და სხვა მოვლენებს უფრო ფართე ბიზნეს გარემოდან, რომელთა დიდი ნაწილი არ არის კომპანიის პირდაპირი კონტროლის ქვეშ.

3.11 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც

ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.12 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი.

3.13 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური

მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 18 - ში

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა, ისევე როგორც, ბასს 39-ის მიხედვით, ფლობისთვის განსაზღვრულად კლასიფიცირებული ობლიგაციები, ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემიტირებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით. დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9- გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში იხილეთ შენიშვნა 8-ში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19- ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3.14 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.15 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.16 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადებულია საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე ავტორიზაციამდე, წარმოდგენილია მომდევნო მოვლენების შენიშვნაში.

3.17 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს.
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

4.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული

განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების გადაფასების მოდელი

კომპანიის მიწის ნაკვეთები და შენობები აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით. ძირითადი საშუალებების აღნიშნული ჯგუფის სამართლიანი ღირებულება დადგენილია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის ანგარიშის საფუძველზე, რომელმაც გადააფასა აღნიშნული აქტივები. გადაფასება მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს. ამგვარად, კომპანიის ძირითადი საშუალებების ფაქტიური სამართლიანი ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ღირებულებებისგან.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4.2 ძირითადი ვარაუდები მომავალთან დაკავშირებით

კომპანიის მენეჯმენტს არ შეხვედრია რაიმე მნიშვნელოვანი შეფერხება მის ოპერაციებში და მიზანშეწონილად მიიჩნევს თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

5 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა	შენობები	აღჭურვილობა	საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ბალანსი 01.01.2023	13,810	2,452	15,190	42,260	884	2,897	3,147	80,640
შეძენა	-	517	271	2,090	54	349	759	4,040
გადაფასება	11,868	-	-	-	-	-	-	11,868
ბალანსი 31/12/2023	25,678	2,969	15,461	44,350	938	3,246	3,906	96,548
შეძენა	-	3,205	64	7,313	41	288	9	10,920
გასვლა	(379)	(5,950)	-	(6,250)	-	-	-	(12,579)
გადაფასება	1,707	-	-	-	-	-	-	1,707
ბალანსი 31/12/2024	27,006	223	15,525	45,413	979	3,534	3,915	96,596
ცვეთა								
აკუმულირებული ცვეთა 01/01/2023	-	-	698	5,861	219	553	585	7,916
პერიოდის ცვეთა	-	-	-	-	-	-	(2,407)	(2,407)
გასვლა	-	-	359	3,068	107	339	2,758	6,631
აკუმულირებული ცვეთა 31/12/2023	-	-	1,057	8,929	326	892	936	12,140
პერიოდის ცვეთა	-	-	362	2,753	101	395	352	3,963
გასვლა	-	-	-	(554)	-	-	-	(554)
აკუმულირებული ცვეთა 31/12/2024	-	-	1,419	11,128	427	1,287	1,288	15,549
წმინდა ღირებულება 31/12/2023	25,678	2,969	14,404	35,421	612	2,354	2,970	84,408
წმინდა ღირებულება 31/12/2024	27,006	224	14,106	34,285	552	2,247	2,627	81,047

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

ცვეთის ხარჯი 4,374 ლარის ოდენობით აღიარებულია გაყიდვის ხარჯებში (2023: 3,462), საოპერაციო ხარჯებში აღიარებულია 217 ლარის ოდენობით (2023: 275), ხოლო მარაგების ღირებულებას დაემატა 3,494 ლარის ოდენობით (2023: 3,749).

კომპანიის ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 83,639 (2023: 84,408 ლარი) ლარის ოდენობით გამოყენებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად.(იხ. შენიშვნა 13). კომპანიის ვალდებულებები არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებებით.

6 არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	კომპიუტერული პროგრამა	კონცესიები	პატენტები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ბალანსი 01.01.2023	674	344	960	327	8,516	10,821
შეძენა	83	4	81	65	2,335	2,568
ბალანსი 31/12/2023	757	348	1,041	392	10,851	13,389
შეძენა	5	-	105	6	2,360	2,476
ბალანსი 31/12/2024	762	348	1,146	398	13,211	15,865
ამორტიზაცია						
აკუმულირებული 01/01/2023	8	194	102	72	2,603	2,979
ამორტიზაციის ხარჯი	5	103	69	33	3,053	3,263
აკუმულირებული 31/12/2023	13	297	171	105	5,656	6,242
ამორტიზაციის ხარჯი	5	19	75	64	3,904	4,067
აკუმულირებული 31/12/2024	18	316	246	169	9,560	10,309
წმინდა ღირებულება						
წმინდა ღირებულება 31/12/2023	744	51	870	287	5,195	7,147
წმინდა ღირებულება 31/12/2024	744	32	900	229	3,651	5,556

ამორტიზაციის ხარჯი აღირიცხა გაყიდვის ხარჯებში 3,978,988 ლარის ოდენობით და ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში 88,029 ლარის ოდენობით.

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

7 აქტივი გამოყენების უფლებით

	მანქანა-დანადგარები	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>		
2024 წლის 01 იანვარი	-	-
შემოსვლა	1,551	1,551
გასვლა	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	1,551	1,551
<i>დაგროვილი ცვეთა</i>		
2024 წლის 01 იანვარი	-	-
წლის ცვეთა	(474)	(474)
გასვლა	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	(474)	(474)
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
2024 წლის 31 დეკემბერი	1,077	1,077

8 ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	78	54
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	50	58
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	548	263
	676	375

ფული და ფული ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 23.1-ში.

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო მოთხოვნები	7,169	6,864
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	961	35
ანარიცხი	(179)	-

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

	7,951	6,899
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	-	313
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,951	7,212

მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 23.1-ში.

სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხების წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ანარიცხი 1 იანვრისთვის	-	-
ანარიცხი აღიარებული წლის მანძილზე	179	-
ანარიცხი 31 დეკემბერისთვის	179	-

10 გადახდილი ავანსები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ გაწეული მარკეტინგული ხარჯი	648	620
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	1,421	1,441
	2,069	2,061

11 მარაგები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული	6,781	6,326
საქონელი	2,081	2,526
მზა პროდუქცია	1,681	1,499
დაუმთავრებელი წარმოება	318	211
სხვა მარაგები	3	3
	10,864	10,565

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

წლის განმავლობაში ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება შეადგენს ლარს (23, 445, 588) (2023: ლარი (20,666,700)).

კომპანიის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

12 გრძელვადიანი იჯარები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი იჯარა	555	72
გრძელვადიანი იჯარა	887	192
	1,442	264

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მინიმალური საიჯარო გადასახდელები	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლამდე		
გადახდები	461	181
ფინანსური ხარჯი	178	83
	639	264
1-5 წლამდე		
გადახდები	731	-
ფინანსური ხარჯი	72	-
	803	-
წმინდა მიმდინარე ღირებულება	1,442	264

13 კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შემდეგი კომპონენტებისგან შედგებოდა:

საწესდებო კაპიტალი: 39,125 ათასი ლარი, ბიზნესის შემენით მიღებული მოგება: 12,932 ათასი ლარი, აქტივების გადაფასების რეზერვი: 19,443 ათასი ლარი, დაგროვილი ზარალი: (12,437) ათასი ლარი

2024 წელს კომპანიამ დამატებით 10,803 ათასი ლარის ზარალი მიიღო, რაც ასახულია საანგარიშო პერიოდის მოგების/(ზარალის) ნაწილში. წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

მომხდარა. შედეგად, კომპანიის წმინდა ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 43,156 ათას ლარს შეადგენდა.

14 მიღებული სესხები

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	11,330	8,068	24,195	24,831
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	11,127	3,493	-	5,538
	22,457	11,561	24,195	30,369

კომპანიას აქვს რამდენიმე საბანკო სესხი რომელთა დაფარვის ვადა არის 2027 და 2030 წელი, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ლიბორს დამატებული 7% და ეროვნული ბანკის ინდექსს +3.5%.

მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით, იხილეთ შენიშვნა 5

მიღებული სესხები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 23.1-ში.

15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	13,260	12,060
სხვა ვალდებულებები	25	7
	13,285	12,067
არაფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელი ხელფასები	533	743
მიღებული ავანსები	34	210
	13,852	13,020

16 საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს გადასახდელ დღგ-ს 23,623 ლარი (2023: 16,489), გადახდილი საშემოსავლო 8,660 ლარი (2023: 6,223), გადახდილი აქციზის გადასახადი 17,311 ლარი (11,610). შენატანი

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

საპენსიო ფონდში 1,791 ლარი (2023:1,442). სულ საგადასახადო ვალდებულება 2024 წლის ბოლოს შეადგენს 4,139 ლარს (2023: 2,786 ლარს)

17 შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან **	42,780	41,260
სხვა საოპერაციო შემოსავლები/შემოსავლები	554	826
	43,334	42,086

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს შემოსავლებს პროდუქციის მიხედვით. სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს მეორადი პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.

	2024	2023
ლიმონათი	21,176	10,879
ლუდი	21,277	25,301
ენერგეტიკული სასმელი	327	5,080
	42,780	41,260

კომპანია შემოსავალს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში.

18 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
ნედლეული და მასალები	21,557	16,500
პირდაპირი ხელფასი	1,601	1,264
არაპირდაპირი ხარჯები	287	2,903
ცვეთა და ამორტიზაცია	3,913	3,749
	27,358	24,416

19 გაყიდვის ხარჯები

	2024	2023
დისტრიბუციის ხელფასები	3,705	3,586
სარეკლამო დანახარჯი	264	1,251
სატრანსპორტო დანახარჯი	840	307
ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯი	1,440	82
მომსახურება კერძო პირებისგან	655	369

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

სხვა ხარჯები	1,003	915
ცვეთა და ამორტიზაცია	4,374	3,462
	12,281	9,972

20 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ადმინისტრაციული ხელფასები	3,972	2,915
ქონების გადასახადი	531	563
ფიზიკური პირების გაწეული მომსახურების ხარჯი	503	290
საკონსულტაციო ხარჯი	342	68
საიჯარო ქირა	228	236
ცვეთა და ამორტიზაცია	636	275
რეზერვის ხარჯი	179	-
კომუნალური ხარჯი	171	125
საკომუნიკაციო ხარჯი	53	55
ბანკის მომსახურების ხარჯი	49	4
წარმომადგენლობითი ხარჯი	33	7
საგადასახადო ხარჯი	30	21
საოფისე ინვენტარის ხარჯი	24	3
დაზღვევის ხარჯები	21	75
რემონტის ხარჯი	15	58
მივლინების ხარჯი	13	57
სამეურნეო ხარჯი	7	367
სხვა ხარჯები	16	48
	6,404	5,167

21 ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საბანკო სესხის პროცენტი	4,964	4,058
იჯარის პროცენტი	366	87
სესხი დამფუძნებლისგან	-	452
კერძო კომპანიების სესხის პროცენტი	193	180
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხის პროცენტი	-	24
	5,523	4,801

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

22 არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი, წმინდა

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(5,036)	(2,592)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაცია	2,042	-
	(2,994)	(2,592)

23 მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან

	2024	2023
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	228	463
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	864	(30)
	1,092	433

24 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,951	6,899
ფული და ფულის ეკვივალენტები	676	375
	8,627	7,274

ფინანსური ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სესხები	46,652	41,930
იჯარები	1,442	264
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,851	13,020
	61,947	55,214

25 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

25.1 საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ვალუტის გაცვლითი კურსების ზემოქმედება წარმოიშობა კომპანიის მიერ საზღვარგარეთ შესყიდვებიდან, მიღებული სესხიდან, რომლებიც ძირითადად აშშ დოლარში და ევროშია დენომინირებული. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის ქვეშ აყენებს, ქვემოთ არის გამჟღავნებული. წარმოდგენილი თანხები არის ლარში.

2024 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
ფული და ფულის ეკვივალენტები

დოლარი

ევრო

-

270

520

-

520

270

ფინანსური ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები
მოკლევადიანი სესხები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

14,671

2,545

14,986

1,605

1,449

3,895

31,106

8,045

წმინდა სავალუტო პოზიცია

(30,587)

(7,775)

2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
ფული და ფულის ეკვივალენტები

დოლარი

ევრო

1,214

369

264

-

2 1,478

369

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

ფინანსური ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები	15,719	5,538
მოკლევადიანი სესხები	9,294	1,629
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,951	3,952
	27,964	11,119
წმინდა სავალუტო პოზიცია	(27,700)	(10,750)

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2023: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე ათას ქართულ ლარში. აღნიშნული 15% (2023: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარის, დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2023: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარსა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2023: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

	დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2024	2023	2024	2023
მოგება-ზარალი:				
ლარის გამყარება	4,588	3,973	1,166	1,613
ლარის დევალაცია	(4,588)	(3,973)	(1,166)	(1,613)

25.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი დანავშირებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

კომპანიის შემოსავალი ძირითადად საცალო ვაჭრობიდან მოდის, ტრანზაქციების ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვის დროს. კომპანია არ იყენებს მომხმარებელთა საკრედიტო რეიტინგისა და მონიტორინგის პოლიტიკას.

კომპანიას არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე. კომპანია არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

25.3 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

31 დეკემბერი 2024

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულ ება	სულ
6 თვეზე ნაკლები	13,851	-	-	13,851
6 თვიდან 1 წლამდე		22,457	555	23,012
1-5 წლამდე	-	24,195	887	25,082
	13,851	46,652	1,442	61,947

31 დეკემბერი 2023

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფინანსური იჯარის ვალდებულ ება	სულ
6 თვეზე ნაკლები	13,020	-	-	13,020
6 თვიდან 1 წლამდე		11,561	72	11,633
1-5 წლამდე	-	24,831	192	25,023
5 წელზე მეტი	-	5,537	-	5,537
	13,020	41,929	264	55,213

კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვის დროს, განსაკუთრებით მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს. ფულადი ნაკადები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ყველა ხელშეკრულებით სრულდება 12 თვის განმავლობაში.

26 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან, რომელიც ეკუთვნის მშობელი კომპანიის მფლობელებს და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს, რომლებსაც იხილავთ შენიშვნა 9-ში.

კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	43,156	53,767
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(676)	(375)
კაპიტალი	42,480	53,392
მთლიანი კაპიტალი	43,156	53,767
სესხები	46,654	41,930
სრული ფინანსირება	89,810	95,697
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	48%	56%

26.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

ამ ფაქტებმა შესაძლოა საქართველოში საგადასახადო რისკები გაცილებით მეტი შექმნას, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე, მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და შედეგები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

27 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	32,198	3,195	818	36,211
ფულადი ოპერაციები				
შემოსვლა	1,812	9,008	-	10,820
დაფარვა	(1,905)	(1,445)	(554)	(3,904)
პროცენტის გადახდა	-	(4,373)	-	(4,373)
არაფულადი ოპერაციები				
საიჯარო ვალდებულების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით				
პროცენტის დარიცხვა	-	4,801	-	4,801
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(1,736)	375	-	(1,361)
31 დეკემბერი 2023	30,369	11,561	264	42,194
ფულადი ოპერაციები				
შემოსვლა	3,779	9,016	4,877	17,672
დაფარვა	(7,607)	(1,462)	(3,728)	(12,797)
პროცენტის გადახდა	-	(5,467)	-	(5,467)
არაფულადი ოპერაციები				
საიჯარო ვალდებულების აღიარება ფასს 16-ის მიხედვით				
პროცენტის დარიცხვა	-	5,523	-	5,523
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	564	376	29	969
რეკლასიფიკაცია	(2,910)	2,910	-	-
31 დეკემბერი 2024	24,195	22,457	1,442	48,094

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

28 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს შორის არიან მისი დამფუძნებლები და მენეჯმენტი, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი.

28.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებენ ვასილ სულხანიშვილი 50.9951%-ით და (Bavaria Overseas Breweries (B.O.B.) III B.V.) 40.00%-ით.

28.2 ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ნაშთები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	18
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	548	338
სესხები	11,128	9,031

28.3 ოპერაციები მენეჯმენტთან

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში.

	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	1,643	1,643

29. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

თანხა ცვლილებამდე	(31/12/2023)	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ (31/12/2023)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,647	3,565	7,212
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,455	3,565	13,020

არ მომხდარა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთების ცვლილება და არ მომხდარა მესამე წლის წარდგენა.

წინა საანგარიშო პერიოდში (2023 წელი) კომპანია არ ასახავდა ძირითადი საშუალების გადაფასებიდან წარმოშობილ თანხას სხვა სრულ შემოსავალში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კორექტირება უკვე ასახული იყო კაპიტალის შესაბამის მუხლში („გადაფასების რეზერვი“)

2024 წელს კომპანიამ გადაამოწმა და გამოასწორა აღნიშნული შეუსაბამობა, რის შედეგადაც მოხდა 2023 წლის სხვა სრული შემოსავლის კორექტირება. აღნიშნულ კორექტირებას არ ჰქონია გავლენა კომპანიის წმინდა მოგებაზე, ხოლო კაპიტალის ნაშთი უცვლელი დარჩა, რადგან გადაფასების რეზერვში თანხა სწორად იყო მოცემული. შესაბამისად, წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში 2023 წლის სხვა სრული შემოსავალი ასახულია გადაანგარიშებული სახით.

შედარებითი მონაცემების ზეგავლენა წარმოდგენილია ქვემოთ:

სხვა სრული შემოსავალი (2023) :

- ადრე წარმოდგენილი : (5,295)
- კორექტირებული : 6,467
- განსხვავება : 11,762

აღნიშნულ კორექტირებას კომპანიის ანგარიშგების სხვა მუხლებზე ზეგავლენა არ ჰქონია.

30. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანია წარმოადგენს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც იზომება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდეგ და დაჯგუფებულია 1-დან 3 დონემდე, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები აღწერილია ქვემოთ:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა არის ის, რაც მიიღება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასებიდან (არაკორექტირებული);
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა არის ის, რაც მიიღება 1-ელ დონეზე შემავალი კოტირებული ფასების გარდა სხვა მონაცემებიდან, რომლებიც დაკვირვებადია აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან ირიბად (ანუ ფასებიდან გამომდინარე); და
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა არის ის, რაც მიიღება შეფასების ტექნიკიდან, რომელიც მოიცავს აქტივის ან ვალდებულების მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

30.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებასკომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასიგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით და ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

სს „არგო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ (ათას) ლარში

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

31 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ საანგარიშო პერიოდის შემდეგ აიღო სესხი 2,840,950 ლარის ოდენობით და დაფარა 1,770,910 ლარის სასესხო ვალდებულება.

სს „არგო“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	2
ინდუსტრიის მიმოხილვა	3
ფინანსური მაჩვენებლები	4-5
დასკვნის ბოლო გვერდი	6

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის მიმოხილვა

სს არგო (შემდგომში „კომპანია“) არის 2017 წლის მარტში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: ლილო ლოჭინის ხევი 0150

საიდენტიფიკაციო კოდია: 400194222.

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

კომპანიის მმართველი დირექტორია ვასილი სულხანიშვილი, 01008002059

როდესაც კომპანიამ შეიძინა ცნობილი ლუდსახარში “კასტელ საქართველოს” აქტივები და საქართველოს ბაზარზე შევიდა როგორც ახალი, ყველასთვის უცნობი მოთამაშე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ გააჩნდა კარგი სასტარტო პოზიცია და როგორც მწარმოებელი, იყო უცნობი ქართველი მომხმარებლისათვის, საბოლოოდ მისი სტარტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მისი წარმატება განპირობებული იყო შემდეგი რამდენიმე ფაქტორით:

1. გამოცდილი და მაღალკვალიფიციური მენეჯმენტი
2. სწორად აწყობილი საწარმოო პროცესები
3. სტანდარტების შესაბამისი და უმაღლესი ხარისხის პროდუქცია
4. ხარისხის კონტროლი
5. ეფექტური ლოჯისტიკა
6. გაყიდვებისა და წარმოების სწორი გეგმარება და ა.შ.

კომპანიას გააჩნია გამართული სადისტრიბუციო ქსელი როგორც თბილისის ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით. არგოს პროდუქციის რეალიზაცია ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოურ ბაზრებზეც (ექსპორტი) – ჩინეთი, პოლონეთი, რუსეთი, ამერიკა, აზერბაიჯანი, უკრაინა, ლატვია სომხეთი და ა.შ.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი აქტივობა არ ახდენს გარემოზე რაიმე სახის ნეგატიურ ზეგავლენას და შესაბამისად გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით ანგარიშს არ აწარმოებს.

ამჟამად არგოს დასაქმებული ყავს 350-მდე თანამშრომელი. კომპანიის საკადრო პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომლების შერჩევას ღია კონკურსის წესით, ხოლო მათი გათავისუფლების პროცედურები სრულიად შეესაბამება საქართველოს შრომითი კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კომპანიის მმართველი გუნდი ორიენტირებულია დასაქმებულ პერსონალთან ხანგრძლივ და სტაბილურ ურთიერთობაზე. ამასთანავე კომპანია ზრუნავს კადრების პროფესიულ განვითარებაზე პერიოდული ტრენინგებითა და სასწავლო კურსებზე დასწრების ორგანიზებით.

1.1. ინფორმაცია შვილობილ კომპანიაზე

სააქციო საზოგადოება “არგოს” არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

2. ინდუსტრიის მიმოხილვა

ბოლო წლების განმავლობაში, ლუდის ინდუსტრია საკმაოდ სწრაფად ვითარდება. 2024 წლის ბოლოსთვის, რეგისტრირებულ ლუდის მწარმოებელთა რაოდენობა გაიზარდა. მათ რიცხვს მიეკუთვნება როგორც დიდი ქარხნები, ასევე მცირე მეწარმეები და საოჯახო ლუდსახარშები. ყოველ მათგანს საკუთარი ნიშა აქვს შერჩეული და სხვადასხვა სეგმენტზე მუშაობს: ადგილობრივი საცალო ბაზრის ათვისება, სარესტორნო ბიზნესი, ცოცხალი არაპასტერიზებული - კრაფტ ლუდის წარმოება, ექსპორტი და ა.შ. მკვეთრად არის გაზრდილი ჩამოსასხმელი ლუდის ბაზარი.

2024 წელს ლუდის ბაზარზე მოქმედი 4 მსხვილი ლუდსახარშია:

1. ნატახტარი - წარმოდგენილი ლუდის ბრენდებით: ნატახტარი, ქარვა, ეფესი, ლოვენბრაუ, ოტინგერი, სტაროპრამენი, კოზელი, ექსტრა, კასრის, მთიელი, კაიზერი;
2. ზედაზენი - წარმოდგენილი ლუდის ბრენდებით: ზედაზენი, ბავარია, რაგნარი, სვიანი, ჰოლსტენი, ჰარპი, ბელგიური;
3. გლობალ ბიერ ჯორჯია - წარმოდგენილი ლუდის ბრენდებით: აისი, კრუმოვიცე, ჰეინეკენი, ამსტელი, ყაზბეგი, კაიაკი, პორტერი, ლუდინგი, შავი ლომი, მირზაანი;
4. არგო - წარმოდგენილია ლუდის ბრენდებით: არგო, ჰერცოგი, ჰოლანდია, ალუდა, გერმანული;

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი ლუდსახარში საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია არა მხოლოდ ადგილობრივი წარმოების ლუდით, არამედ ცნობილი ევროპული ბრენდების ლიცენზირებული პროდუქციით.

ლუდსახარში კომპანიების დაფარვის ზონაა სრულიად საქართველოს სხვადასხვა სავაჭრო არხი. ლუდის რეალიზაცია ხდება მცირე ზომის მარკეტებში, დიდ სავაჭრო ქსელებში, რესტორნებსა და სასტუმროებში.

ქართული ლუდის ბაზარზე ახალი ბრენდების გამოჩენასთან ერთად იზრდება კონკურენციის დონეც. შესაბამისად მაღალ ხარისხთან ერთად საუკეთესო ფასის შეთავაზებაც მთავარ გამოწვევად რჩება.

კომპანია მუდმივად ცდილობს მსოფლიო ბაზარზე მოიძიოს ახალი დამკვეთები და არსებულ დამკვეთებთან განავითაროს თავისი თანამშრომლობა.

კომპანია არგო ლუდის გარდა აწარმოებს ლიმონათის უბველეს ბრენდს, ზანდუკელს.

ლიმონათის კატეგორიაში არგოს კონკურენციას ნატახტარი უწევს. აგრეთვე რეგიონებში მცირე მწარმოებლები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას პროდუქტს სთავაზობენ დაბალ ფასად, ხარისხის დათმობის ხარჯზე.

2024 წელს ლიმონათის რეალიზაცია მკვეთრად გაიზარდა როგორც საექსპორტო ბაზარზე.

3. ფინანსური მაჩვენებლები

სს „არგო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში '000

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	81,047	84,408
აქტივი გამოყენების უფლებით	1,077	-
არამატერიალური აქტივები	5,556	7,147
	87,680	91,555
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,951	7,212
გადახდილი ავანსები	2,069	2,061
მარაგები	10,864	10,565
ფული და ფულის ეკვივალენტები	676	375
	21,560	20,213
სულ აქტივები	109,240	111,768
კაპიტალი და ვალდებულებები		
საწესდებო კაპიტალი	39,125	39,125
გადაფასების რეზერვი	21,149	19,443
აკუმულირებული მოგება/ზარალი	(17,119)	(4,800)
	43,155	53,768
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	887	192
მიღებული სესხები	24,195	30,369
	25,082	30,561
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,852	13,020
საგადასახადო ვალდებულებები	4,139	2,786
მიღებული სესხები	22,457	11,561
საიჯარო ვალდებულება	555	72
სულ მიმდინარე ვალდებულებები	41,003	27,439
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	109,240	111,768

სს „არგო“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში '000

	2024	2023
შემოსავლები	43,334	42,086
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(27,358)	(24,416)
საერთო მოგება	15,976	17,670
გაყიდვის ხარჯები	(12,281)	(9,972)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,404)	(5,167)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	(18,685)	(15,139)
ფინანსური ხარჯი	(5,523)	(4,801)
(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(1,092)	(433)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯი, წმინდა	(2,994)	(2,592)
ზარალი მოგება დაბეგვრამდე	(12,318)	(5,295)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის ზარალი	(12,318)	(5,295)
სხვა სრული შემოსავალი		
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	1,707	11,762
სულ მთლიანი სრული შემოსავალი	(10,611)	6,467
EBITDA	5,795	10,017

4. სამომავლო გეგმები

მიმდინარე, 2025 წელს, არგო განაგრძობს ზრდას. კომპანია გეგმავს შესთავაზოს სიახლეები მომხმარებელს. მიმდინარე წელს არგომ გაზარდა ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა და შესაბამისად 2025 წელს 2024 თან შედარებით 2 ჯერ გაზრდილია რეალიზაცია ექსპორტზე.

ამგვარად, მიმდინარე წელს კომპანია აგრძელებს გაყიდვების ზრდის ტენდენციას და მოელის 2024 წელთან შედარებით გაყიდვების ზრდას.

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვამღევს რწმენას, რომ მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

კომპანია ზრუნავს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და კომფორტულ სამუშაო გარემოზე. კომპანია ცდილობს დაიცვას შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა. თანამშრომელთა სამუშაო ადგილი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

მმართველი დირექტორი
ვასილ სულხანიშვილი

8 ოქტომბერი, 2025 წელი
თბილისი, საქართველო

4. სამომავლო გეგმები

მიმდინარე, 2025 წელს, არგო განაგრძობს ზრდას. კომპანია გეგმავს შესთავაზოს სიახლეები მომხმარებელს. მიმდინარე წელს არგომ გაზარდა ექსპორტიორი ქვეყნების რაოდენობა და შესაბამისად 2025 წელს 2024 თან შედარებით 2 ჯერ გაზრდილია რეალიზაცია ექსპორტზე.

ამგვარად, მიმდინარე წელს კომპანია აგრძელებს გაყიდვების ზრდის ტენდენციას და მოელის 2024 წელთან შედარებით გაყიდვების ზრდას.

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას, რომ მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

კომპანია ზრუნავს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და კომფორტულ სამუშაო გარემოზე. კომპანია ცდილობს დაიცვას შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა. თანამშრომელთა სამუშაო ადგილი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.



მმართველი დირექტორი
ვასილ სულხანიშვილი



8 ოქტომბერი, 2025 წელი
თბილისი, საქართველო